კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ირაკლი ჭელიძე

ბიზნეს გარემო საქართველოში - ბიზნესის ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა კასრაძე, პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი ბიზნეს გარემოს შესწავლა და განვითარებისკენ სწრაფვა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება განვითარებადი ქვეყნებისთვის მაგალითად, ისეთითვის როგორიც საქართველოა .

ბიზნეს გარემო არის სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, რომელიც ზემოქმედებს კომპანიის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე. მიმდინარე პროცესებზე და რაც მთავარია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობის არსებობაზე.

ქვეყანაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყანაში, ბიზნეს გარემოს ფორმირებისთვისა და განვითარებისთვის საკმაოდ რთული, გრძელი და შრომატევადი გზაა გასავლელი. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია როგორც საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო და მისი გავლენა ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე, ასვე ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებებები და გზები.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ზოგადად ბიზნეს გარემოს არსი და მნიშვნელობა, საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო და ამავდროულად საქართველოს საკონონმდებლო გარემო ეკონომიკურ ასპექტში.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში დასმული და განხილულია ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე გაანალიზებულია ინვესტიციების მნიშვნელოვანი როლი ბიზნესის განვითარებაში.

მოცემული ნაშრომის მესამე თავში მოძიებული და განხილულია საქართველოს ბიზნეს გარემოში არსებული პრობლემები - მათი გადაჭრის გზები და ბიზნეს გარემოს გამუჯობესების პერსპექტივები

დასკვნაში წარმოდგენილია მოცემული კვლევის საერთო შედეგები.

Irakli Chelidze

Economic aspects of the South Caucasus countries business environment

Annotation

Nowadays it is very important for any country to study and develop its business environment. It is especially important to improve the business environment for developing countries, such as Georgia.

The business environment is a social, technological, economic, and political environment that impacts on a company's decision-making processes, strategies, and most importantly business opportunity.

There is a long and laborious road ahead to form and develop a business environment in a developing country, especially in a developing country.

In the first chapter of the work deals with the essence and importance of the business environment in general, the business environment in Georgia and at the same time the legislative environment of Georgia in the economic field.

The second chapter covers related to doing business, as well as separates and analyzes the investment and its types.

The third chapter of this thesis explores and discusses the problems in the business environment of Georgia - ways to solve them and perspectives for improving the business environment.

The conclusion is that the research results are generalized.

შინაარსი

ანოტაცია

შესავალი 4

თავი 1. ბიზნეს გარემო და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე

1.1 რა არის ბიზნესგარემო? 7

1.2 ბიზნეს გარემოს როლი ბიზნესის განვითარებაში 9

თავი 2. ბიზნესგარემო საქართველოში - არსებული რეალობა და ტენდეციები

2.1 საქართველოს ბიზნეს გარემო 14

2.2 საქართველოს სამართლებრივი გარემო ეკონომიკურ ჭრილში 27

თავი 3. საინვესტიციო გარემოს გავლენა ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე

3.1 საქართველოსსაინვესტიციო გარემო 33

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტირება საქართველოში 38

3.3 საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების პერსპექტივა 43

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა 59

დანართი 61

შესავალი

თემის აქტუალობა.ქვეყანში არსებული ბიზნეს გარემო უდიდეს როლს თამაშობს კერძო სექტორის და შესაბამისად ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში. მსოფლიო გლობალიზაციის პერიოდში ყველა ქვეყანა და განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველო ცდილობენ მიმზიდველი ბიზნეს გარემო შექმნას, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის.

ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნას ბევრი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს.

კვლევის მიზნები და ამოცანები. მოცემულისამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს ბიზნეს გარემოს შესწავლა და აღნიშნულის ეკონომიკური ასპექტების განხილვა, არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე სამაგისტრო კვლევაში შესწავლილი და გაანალიზებულია :

- საქართველოს ბიზნეს გარემოს ეკონომიკური ასპექტები.
- საქართველოს საკანონმდევლო გარემო ეკონომიკურ ჭრილში.
- საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები.

კვლევის ობიექტი. კვლევის საგანია ბიზნესგარემო საქართველოში, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს არსებულ გარემოში ბიზნესი და მისი ზრდისა და განვითარები შესაძლებლობები საქართველოში.

კვლევის მეთოდები და საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები, სტატიები, კვლებები და სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია დიალექტიკური მეთოდი, რომელიც იკვლევს პროცესებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია: ინდუქციის, დედუქციის ახსნა-განმარტების, ანალიზის, შედარებითი ანალიზის, და სინთეზის მეთოდები. ნაშრომში საკვლევი თემიდან გამომდინარე წარმოდგენილია ცხრილები დიაგრამები და ილუსტრაციები.

კვლევის შედეგები.წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა:

- რა არის ბიზნესგარემო, რა განაპირობებს მას და რა გავლენა აქვს ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე .
- როგორი ბიზნეს გარემოა საქართველოში და რა ფაქტორები განაპირობებს მათ.
- საკვლევ ობიქტებზე დავირვებით გამოირკვა საქართველოს ბიზნეს გარემოს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომის სტრუქტურა. წარმოდგენილი სამსაგისტრო ნაშრომი შედგენა კომპიუტერზე ნაბეჭდი 70 გვერდისგან, ის მოიცავს შესავალს, სამ თავს, შვიდ ქვეთავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

თავი 1: ბიზნეს გარემო და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე

1.1. რა არის ბიზნეს გარემო?

ბიზნეს გარემოს განმარტების მრავალგვარი წინადადება არსებობს თუმცა ყველა მათგანი ერთსადაიმავე შინაარს ატარებს. საზოგადოდ რომ ვთქვათ - ბიზნეს გარემო ისეთი ფაქტორების ერთოებლიობას წარმოადგენს, რომლებიც საერთო ჯამში ბიზნესზე ზემოქმედებენ.

ბიზნეს გარემოს ხარისხს შეიძლება განაპირობებდეს მრავალი ფაქტორი, მათ შორის არიან:

- საკანონმდებლო ფაქტორი ეკონომიკურ ჭრილში;
- სოციალური ფონი;
- ფოლიტიკური ფაქტორი;
- ეკონომიკური გარემო;
- სოციალური ფონი;
- კულტურული და ისტორიეული გარემოებები;
- გეოგრაფიული მდებარეობა;
- ბუნებრივი გარემოებები;
- მასმედია;
- შრომის ბაზარი;
- კონკურენცია.

დამრავალი სხვა ფაქტორი.

ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო განაპირობებს ბიზნესის განვითარების დონეს, ხელშეწყობას და ზოგადადმიმზიდველ გარემოს, რომელში ინვესტირებისთვის და ბიზნესის წამოწყებისთვის საჭიროა სურვილი გაუჩნდეს უცხოელ თუ ადგილობრივ ინვესტორს. ჯანსაღი ბიზნეს გარემო ქვეყნის იმიჯზე პოზიტიურად მოქმედებს. და საერთოდაც, გამორიცხულია მიმზიდველი ბიზნეს გარემოს არსებობა ისეთ ქვეყანაში სადაც კორუფცია მძვინვარებს, ან თუდაც შიდა თუ გარე კონფლიქტები მიმდინარეობს. ზოგადად ქვეყნის მდგომარეობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ბიზნესგარემოზე, ვინაიდან, რომელიმეს თუმდაც შესადრებით დაბალი მაჩვენებელი აუცილებლად აისახება მეორე მათგანზე.

ცხრილი 1



წყარო: https://eucham.eu/best-european-countries-for-business-2019/

ევროპის პალატა ყოველწლიურად აქვეყნებს რეიტინგს ევროპის ქვეყნების შესახებ, სადაც ევროპის ქვეყნებია გადანაწილებული საუკეთესო ქვეყნებიდან ბიზნესისთვის - დაბლისაკენ. საქართველო აღნიშნულ რეიტინში საპატიო 18-ე ადგილს იკავებს და დამეთანხმებით ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა - განვითარებადი და არც თუ ისე დიდი დროა მას შემდეგ რაც ქვეყანამ ბიზნესის განვითარებაზე დაიწყო ზრუნვა, ეს საკმაოდ პოზიტიური ფაქტორია (იხ ცხრილი 1.0)

1.2. ბიზნეს გარემოს როლი ბიზნესის განვითარებაში

ბიზნესის განვითარებისთვის და შესაბამისად ეკონომიკური სტაბილურობის შექმნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნეს გარემოს არსებობა. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ავღნიშნე - დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

ჩემი აზრით ბიზნესის განვითარებაზე - ბიზნეს გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ. პოლიტიკური გარემოს ძირითადი დანიშნულება ქვეყანაში სტაბილური გარემოს ფორმირებაა, ეკონომიკური გარემოს ფუნქცია მდგომარეობს მიმზიდველი გარემოს შექმნაში, დაბალი სოციალური ფონის ზრდაში. რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ჩაითვალოს. სწორად ეს ფაქტორი ქმნის ყველაზე მიმზიდველ ბიზნეს გარემოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელ ინვესტორთათვის.

პოლიტიკური გარემო უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურ მდგომარეობასა და სახელმწიფოს იმიჯს. თუ ქვეყანაში მუდმივი დაძაბულობაა, მიტინგები და სამოქალაქო აქციები მძვინვარებს შეუძლებელია ქვეყნის ასეთმა მდგომარეობამ მიიზიდოს ინვესტორი. ასევე საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური გარემოს ამგვარი არასტაბილურობა, კერძოდ კი, ქვეყანაში ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს. პოლიტიკური ფაქტორი არ მოიცავს მხოლოდ კონფლიქტური ხასიათის ასპექტებს, ის მოიცავს ქვეყანაში რამდენიმე იდეოლოგიის ერთდროულად - სინქრონულად არსებობას. ამგვარი იდეოლოგიები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ძირითადი განსაზღვრელი არის პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში თანამემამულეთა ჩართულობა.

თეორიული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებულ იდეოლოგიებში ორ ყველაზე რადიკალურად განსხვავებულ იდეოლოგიად დემოკრატია და ტოტალიტარიზმი გვევლინება. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო სისტემიდან მოდის მრავალი სხვა მმართველობის სისტემა და აღნიშნული მრავალგვარი მმართველობის სისტემები ერთმანეთისგან მხოლოდ მოქალაქეების ჩართულობის დონით განსხვავდებიან.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის განვითარებაზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური ფაქტორი, სწორად პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს.

ეკონომიკური გარემობიზნეს გარემოზე ზემოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც საგრძნობლად ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაიწყო რთული და შრომატევადი - გარდამავალი პერიოდი. საიდანაც დაიწყო ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ამგვარი რეფორმების უპირველესი მათგანი იყო საკუთრების უფლების აღიარებაზე ზრუნვა. საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული ეკონომიკური რეფორმებიდან მოყოლებული უფორ და უფრო სისტემატიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ეკონომიკური რეფორმების გატარება და შესაბამისად ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. იმდროინდელ საქართველოში იქნა აღიარებული შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საჭიროება.

თავის მხრივ ეკონომიკური ფაქტორი იყოფა სამ სახეობად:

- კაპიტალისტური;
- სოციალისტური;
- შერეული.

ამგვარი კლასიფიცირების გარდა ეკონომიკური გარემო შეიძლება კიდევ დაიყოს ასე:

- რესურსთა გადანაწილებისა და კონტროლის გათვალისწინებით;
- საკუთრების ტიპის მიხედვვით;
- საბაზრო ეკონომიკა.

ის ეკონომიკური გარემო სადაც ბიზნეს სუბიექტი ახდენს წარმოებას შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, ესენია: შიდა გარემო და გარე გარემო. ეკონომიკური შიდა და გარე გარემოების ანალიზისთვის ბიზნეს სუბიექტები მამართავენ არაერთ ხერხს. თუმცა აქედან ყველაზე ეფექტური ჩემი აზრით SWOT ანალიზია. აღნიშნული SWOT ანალიზის უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილია ცხრილი 1.1

ცხრილი 1.1

SWOT ანალიზი



მეწარმის საქმიანობის ეკონომიკური გარემოს ფაქტორებია შიდა გარემო, გარე გარემო და გარე - ე.წ. გლობალური გარემო, რომლებიც თავის მხრივ იყოფა რამდენიმე ნაწილად.

მეწარმის საქმიანობის ეკონომიკური გარემოს შიდა გარემო იყოფა შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- ბაზარზე საქმიანობის გამოცდილება;
- წარმოება;
- მატერიალური ბაზა;
- სამუშაო ძალა;
- ფინანსური რესურსი;
- მარკეტინგი და მენეჯმენტი;

გარე გარემო მოიცავს:

- რესურსთა მომწოდებლები: მატერილურ რესურსთა მომწოდებლები, შრომის რესურსთა მომწოდებლები, კაპიტალის მომწოდებლები;
- მყიდველები: პროდუქციის დისტრიბუტორები, მომხარებლები;
- კონკურენტები: რესურსის მიხედვით და საქონლის მიხედვით
- ტექნოლოგიები: როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ასევე ძველის მოდერნიზება.

გარე გლობალური გარემოს ფაქტორებია:

- პოლიტიკურ სამართლებრივი გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალურ-კულტურული გარემო და ტექნოლოგიური გარემო.

რაც შეეხება ბიზნეს გარემოზე ზემოქმედ **სამართლებლივ ფაქტორებს** - ნაგულისხმებია სახელმწიფოს მიერ გატარებული ისეთი სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ბიზნესის ფორმირებაზე, შესაბამისად ბიზნესის ხელშეწყობაზე და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებეაზე. აღნიშნიშნულის მოქმედებას ბიზნესის წარმოებასა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე უფრო დაწვრილებით ბიზნეს მომდევნო თავებში განვიხილავ.

თავი 2: ბიზნესგარემო საქართველოში - არსებული რეალობა და ტენდეციები

2.1 საქართველოს ბიზნეს გარემო

ითვლება, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. საერთო ჯამში საქართველოში ბიზნეს გარემოს აღსაწერად საჭიროა არსებული პრობლემების გამოვლენა, უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ბიზნესის დაწყების ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას, საგადასახადო სისტემის მოქნილობას, საგადასახადო კონტროლს, საბაჟო გადასახადსა თუ კადრების დაქირავებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკმაოდ გამარტივებულია ბიზნესის წარმოწყება და ფუნქციონირება საქართველოს ბიზნეს გარემოზე ნეგატიურად ზემოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური არასტაბილურობა. საქართველოს ეკონომიკური არასტაბილურობა რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულმა

კონფლიქტმა გამოიწვია - ყოველივე ამის გამო, საქართველოს ხელახლა უწევს მოიპოვოს როგორც, ქართველ ასევე უცხოელ ინვესტორთა ნდობა.

საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა დაიწყო 2003 წლიდან, როდესაც სადავეები ახალმა ხელისუფლებამ აიღო ხელში. სწორად ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოში ეკომონიკური საკანონმდებლო რეფორმების გატარება, როგორებიცაა: საგადასახადო სისტემისგაუმჯობესება, საბაჟო გადასახადის დარეგულირება, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გამარტივება და სხვა.

დიაგრამა1.3



2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ. 2018 წ.	
498,8	534,5	571,6	596,7	634,1	679,3	722,9
127,6	131	134,8	164,4	167,5	165,2	164,9

წყარო:საქსტატი, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri

ასევე, საქსტატის მონაცემების მიხედვით ცხადია, რომ პოზიტიურად გამოიყურება 2012 წლიდან 2018 წლამდე ყოველწლიურად იზრდება რეგისტრირებულ ბიზნეს რაოდენობათა რიცხვი, 2012 წელს მისი რაოდენობა შეადგენდა 473 800 და ის ყოველწლიურად იზერდება და შეადგენს 2013 წ. – 507 700, 2014 წ. – 543 300, 2015 წ. – 566 600, 2016 წ. – 601 100, 2017 წ. – 643 900 და 2018 წ. – 686 300. ცხადია, რომ შესამჩნევი ზრდა ფიქსირდებოდა 2015 წლის შემდეგ და 1 წელში გასხვავებამ

შეადგინა 34 500 და მას შემდეგ, 42 800 და 42 400, რაც საკმაოდ დადებითი ფაქტორია განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისთვის. ასევე წამორდგენილია დიაგრამა (დიაგრამა 1.4) სადაც გამოსახულია ახალდარეგისტრირებულ ორგანიზაციატა და ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა.

დიაგრამა 1.4



2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
42,6	46,7	47,1	45,9	48,3	52,7	51,8
41,3	44,48	45,5	44	45,4	50,1	50,4

წყარო:საქ.სტატ.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri

როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში განსხსვავებით განვითარებული ქვეყნებისგან, გამონაკლისი არც საქართველოა, ძალიან მაღალია კომერციულ ბანკებში საპროცენტო განაკვეთი, რაც ამცირებს ხელმისაწვდომობას და

ართულებს ბიზნესის განვითარებას. წარმოდგენილია საქსტატის მონაცემების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების ცხრილი დანართში (ცხრილი 1.5)

საქართველოს ბიზნეს გარემოს წინსვლის პროცესი შესამჩნევად დაიწყო 2003 წლიდან, როდესაც ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა. 2003 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმების გატარება, როგორებიცაა: საგდასახადო, საბაჟო, სალიცენზიო და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბიზნეს გარემო დადებითი ტენდენციით ხასიათდება აღნიშნულის განვითარება ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.2008-2009 წლის რეიტინგების მიხედვით საქართველოს ბიზნეს გარემო 131 ქვეყნიდან 90-ე ადგილს იკავებდა"გლობალური კონკურენტუნარიანობის" ანგარიშის საფუძველზე. ჩემი აზრით საქართველოს ბიზნეს გარემო ჯერ კიდევ განვითარების პროცესის დასაწყისშია და მთელი რიგი ფაქტორებია დასახვეწი.

როდესაც საუბარია ქვეყნის ბიზნეს გარემოზე აუცილებელა ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განხილვა როგორებიცაა იმპორტი და ექსპორტი. როგორც პროდუქტი ან/და მომახურების ქვეყანაში შემოდინება ისე მათი გატანა უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის.

საქართველოს ხელისუფლება ამ კუთხით მუშაობს და დღითიდღე უფრო მეტ ხელისშემწყობ ფაქტორს გვთავაზობს, საქართველო აქტიურად მუშაობს იმპორტისა და ექსპორტის პოპულაიზაციასა და განვითარებაზე.

პირობითად შეგვიძლია შევადაროთ საქართველოში 2019 წლის იანვარი - ნოემბერის უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყნების გადანაწილება. (დიაგრამა 2.1; დიაგრამა 2.2 და დიაგრამა 2.3 დანართში)

აღსანიშნავია რა იყო უმსხვილესი საექსპორტო საქონელი და როგორ გადანაწილდა წლების მიხედვით მილიონი აშშ დოლარში იხ. ცხრილი 2.4

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის გადანაწილება

დიაგრამა 2.4



	სპილენძის მადნები	**მსუბუქი ავტომობილები**	**ფეროშენადნობები**
2014 წ.	**240**	**517,8**	**285,8**
2015 წ.	**270,6**	**179,1**	**194,8**

2016 წ.	312,3	166,6	169,3
2017 წ.	422,5	234,7	306,4
2018 წ.	405,5	408,3	352,6
2019 წ.	601,9	594,6	261,2

წყარო: საქ.სტატიhttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

საქართველოს, როგორც, ერთ-ერთი განვითარებადი ქვეყნის მთავარი მიზანი ქვეყნის მაცხოვრებლების ცნობიერების დონის ამაღლებაა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კი, ძლიერი კერძო სექტორი განაპირობებს. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს სექტორის გაძლიერებას სახელმწიფო განაპირობებს. სახელმწიფო ვალდებულია ბიზნეს სექტორს შეუქმნას ოპტიმალური გარემო, სათანადო პირობები, ასტიმულიროს და წაახალისოს იგი და შექმნას კერძო სექტორზე მორგებული მარეგულირებელი ღონისძიებები.

შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი, რომელმაც დადებითად იმოქმედა ბიზნესის წარმოქმნაზე, დამკვიდრებასა და განვითარებაზე (ნემსაძე - 2008, 64).

- როგორც სამოქალაქო საზოგადოების ისე სამართლებრივი სახელმწიფოს წარმოქმნა.
- ადამიანის იდიეს ფორმირება შესაძლო ასპექტებში.
- საკუთრების უფლების დაცვა და ეკონომიკური თავისუფლების იდეა.
- საშუალება ეკონომიკური ძალაუფლების გამიჯვისა პოლიტიკურისგან და კერძო საკუთრების გამიჯვისა სახელმწიფოსაგან.
- საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება.

იმისთვის, რომ ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნესგარემო ჩამოყალიბდეს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად კერძო სექტორს. სწორად კერძო სექტორი ქმნის ქვეყანაში კონკურენტულ გარემოს, შეუძლია სოციალური პრობლემების აღმოფხვრა, დასაქმების დონის ზრდა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბაზარი მხოლოდ მაშინ შეძლებს დადებითად ფუნქციონირებას, თუ ამავდროულად ქვეყანაში სოციალური დაცვის საიმედო მექანიზმი ამოქმედდება - ეს კი, თავისთავად ხელს შეუწყობს კერძო სექტორს სტაბილურ გარემოში ფუნქციონირებაში. ეს ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულ კავშირშია - თუ სახელმწიფო შეძლებს და გაატარებს ეფექტურ სოციალურ პოლიტიკას ამით საშუალებას მისცემს კერძო სექტოს სტაბილურ გარემოში აწარმოონ, ამით კერძო სექტორი უზრუნველყოფს დასაქმებულთა რიცხვის ზრდას - ეს კი არა მხოლოდ ქვეყნის უმუშევრობის დონეზე, არამედ კომპანიის განვითარებაზეც აისახება. ეს არის ორმხრივ მომგებიანი ნაბიჯი, რომლითაც ბენეფიტს სახელმწიფოც და ბიზნეს სექტორიც იძენს.

დღესდღეობით, კი იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობს ამგვარი სანდო სოციალური დაცვის მექანიზმი, თუმცა აღსანიშვნავია, რომ ამაზე ზრუნვა დაწყებულია, წარმოების ეფექტურება მცირდება, უმუშევრობის დონე ან უცვლელია ან იზრდება.

საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების დონის ობიექტურად შეფასების მიზნით გამოვყავი ბიზნესის განვითარების ხუთი ეტაპი, მისი თვისებებითა და თავისებურებებით.

ბიზნესის განვთარების პირველი ეტაპი - იგივე განსახელმწიფოებრიობა (1990 – 1995 წწ.) აღნიშნული პერიოდი იყო საქართველოს ეკონომიკისთვის გარდამავალი პერიოდი. სწორად ამ პერიოდიდან დაიწყო ზრუნვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებზე - საკუთრებითი ურთიერთობების ცვლილებებზე, მიზანი საქართველოში მეურნეობის მრავალფეროვნების წარმოქმნა, ქვეყნის ფინანსური განვითარება და მწარმოებრული შრომის სტიმულირება იყო.

90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების სტიმულირების მიზნით დაიწყო განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების პროცესი ასევე სახელმწიფოს ბალანზე არსებული ქონების ვაუჩერიზება. ამავე დეკადის დასაწყისში დაიყო საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზაცია , რომლმაც წაახალისა მეწარმეობის ჩამოყალიბების პროცესი.

1990-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის პროცესთან მიმართებით არ არსებობდა შესაბამისი კანონმდებლობა რამაც ნეგატიურად იმოქმედა ქვეყანაში არსებული პოტენციალის ათვისებაზე, ეკონომიკურ ნიადაგზე და ბიზნესის განვითარებაზე.

პირვატიზაციის პროცესის საწყის ეტაპზე - პრივატიზებულ იქნა სოფლის მეურნეობის, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა დარგების მცირე საწარმოები. აგრეთვე პრივატიზებულ იქნა ზარალიანი და დაბალ რენტაბელური ობიექტები რამაც ხელი შეუწყო და ბიძგი მისცა ბიზნესის განვითარებას და მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას.

როგორც მოსალოდნელი იყო აღნიშნულ პერიოდში პრივატიზებას ვერ დაუქვემდებარდა გარკვეული საწარმოები და სახელმწიფოს ბალანსზე დარჩა,ესენი ძირითადად იყო სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები. ხოლო, ყველა სხვა დანარჩენი, ეს იყო დაბალრენტერტაბელური

საწარმოები, მათი სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. გაიყიდა იმდროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში კერძო სექტორის განსავითარებლად სახელმწიფომ გაატარა მთელი რიგი დადგენილებები და კანონები - 1991 წელს - კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, 1992 წელს - „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 1992 წელს - „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 1993 წელს - „ადგილობრივი საწარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

წარმოდგენილის ცხრილი კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშემწყობის კანონებისა და ნორმატიული აქტების შესახებ (ცხრილი 3.0)

ცხრილი3.0

1991 წელი - კანონი	"სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" (გაუქმდა 1994 წელს)
1992 წელი - მთავრობის დადგენილება	"სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდა 1994 წელს)
1992 წელი - მთავრობის დადგენილება	"ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდა 1994 წელს)
1992 წელი - მთავრობის დადგენილება	"ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდა 1994 წელს)
1993 წელი -	"ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოების

მთავრობის დადგენილება	შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდა 1994 წელს)
1993 წელი - მთავრობის დადგენილება	"შეზღუდულიპასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდა 1994 წელს)
1994 წელი - კანონი	"მეწარმეთა შესახებ"
1999 წელი - კანონი	"მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ"
2001 წელი - კანონი	"სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ"
2002 წელი - კანონი	"სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ"
2002 წელი ს - კანონი	სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ

ჩამოთვლილი კანონების გაუქმება გამოიწვია კანონის მიღებამ „მეწარმეთა შესახებ: - 1994 წელს. სწორედ ეს კანონი ახდენს საწარმოთა დაფუძნების რეგლამენტირებას და ადგენს მათ სამართლებრივ ფორმებს და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო საქართველოში პირველი კანონი, რომელიც არეგულირებდა სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ ფაქტორს.

ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე ცხადია ეს უკანასკნელი არ იყო თავისუფალი და აქედან გამომდინარე ბიზნესის მონაწილეობა საზოგადოების სოციალურ დაცვაში დიდ გავლენას ვერ ახდენდა თუ არ ჩავთვლით დასაქმების მხარეს, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მოსახლეობის ნაწილი უკვე გახდა საკუთრების მფლობელი.

პირველ ჯერზე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით სახელმწიფოს საკუთრების ნაწილის საპრივატიზებო „ვაუჩერებით“ გადაცემით დაპრივატიზირდა 150 მილიონ დოლარამდე ღირებულების ქონება, ეს იყო ქვეყნის ქონების სრული ღირებულების 30%-ი

თავის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იპ პერიოდისთვის პრივატიზების მთავარი მიზანი იყო ე.წ. მესაკუთრეთა ფენის შექმნა. ქვეყანაში პრივატიზების პროცესის დაწყების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მიღებული ფინანსები მოხმარებოდა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას და ამით ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და შესაბამისად უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

1195 წლიდან 2000 წლამდე იყო ბიზნეს გარემოს განვითარების მეორე ეტაპი - ეს იყო კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაძლებლობების ეტაპი.

1995 წლიდან პრივატიზებაში ჩაეშვა 11492 საწარნო, ეს იყო მასობრივი პრივატიზაციის პერიოდი. აღნიშნული 11492 საწარმოს პრივატიზების ფორმების გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე 3.1

დიაგრამა3.1



წყარო: საქ.სტატიhttps://www.geostat.ge

2001 წლის დასაწყისის მდგომარეობით ბოლოო ჯამში პრივატიზებული იყო 16665 ობიექტი. აღნიშნული რაოდენობიდან 1244 ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად და დანარჩენი 840 საკონტროლო პაკეტი.

რაც შეეხება ენერგეტიკულ სექტორს, პრივატიზება განხორციელდა მსოფლიო ბანკის ჩართულობით მხოლოდ სტრატეგიულ ინვესტორზე, ინვესტორზე გასხვისდა 75 %.

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მესამე ეტაპი დაიყო 2000 წლიდან და გაგრძელდა 2005 წლამდე, ეს იყო უცხოური ინვესტიციების შემოსავლის გააქტიურებისა და საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლების ეტაპი.

საქართველოს მთავრობა ორიენტირებული იყო კორუფციასთან ბრძოლაზე და ბიზნესის სრულ ხელშეწყობაზე. 2000 წლიდან 2005 წალმდე საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორი იმართებოდა თავისუფალი საბაზრო კანონებით.

დრო და დრო უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა კერძო სექტორის როლი ქვეყანაში და სტიმულირდა როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი

ინვესტიციები, ეს უკანასკნელი კი 2004 წელს დაწყებული მასობრივი პრივატიზების პროცესმა განაპირობა.

საქართველოზე ძალიან დიდი დაინტერესება მოდის უცხოური კომპანიების მიერ, თუმცა უკვე არსებული და ფუნქციონირებადი კომპანიების ზუსტი რაოდენობა ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი.

აღსანიშნავია უმსხვილესი უცხოური ინვესტორების წილები ქართულ კომპანიებში:

- Themes Steei - მფლობელია ქართული კომპანიის "Enerjy Industry Complex"-ის 99%-ის, რომელიც „ქართული ფოლადის" 100%-ს ფლობს.
- ჩეხური კომპანია „Energo pro" ფლობს საქართველოს ენერგობაზრის დაახლოებით 60%-ს.
- დანიური კომპანია „გროუქ ჯფუფი" და მისი პარტნიორები ფლობდნენ „ბათუმის ნავთობის ტერმინალს" და „ბატუმის საზღვაო ნავსადგურს", რომელიც მიჰყიდეს „ყაზმუნაიგაზს" - რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

ჩამოთვლილის გარდა კიდევ მრავალი უცხოური მსხვილი და წვრილი ინვესტიციაა განხორციელებული საქართველოში.

ქართული ბიზნესგარემოს განვითარების მეოთხე ეტაპს წარმოადგენს 2005 – 2010 წლები - ეს იყო საკანონმდებლო მარეგულირებელი თემების შემუშავებისა და ბიზნესისის ზრდის ეტაპი.

მითითებულ ეტაპზე გატარებულმა რეფორმებმა საქართველოში შექმნა გაუმჯობესებული ბიზნესგარემო და თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის მიმზიდველი პირობები, რამაც დადებითად იმოქმედა ბიზნესის განვითარებაზე.

2005 წლიდან შედარებით გამარტივდა ბიზნესისი რეგისტრაციის და ლიცენზირების პროცესები, ასევე შემცირდა აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა. აღნიშნულის გამო საგრძნობლად იწყო მატება ბიზნესსუბიექტების რაოდენობამ.

ბიზნესსუბიქტებს გაუჩნდათ სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. დღესდღეობით აუცილებელია ყოველი სამეწარმეო ინიციატივის მხარდაჭერა და კერძო სექტორის მხრიდან სოციალურის დაცვის განხორციელების მაქსიმალური ხელშეწყობა.

2011 წლდან დაიწყო ბიზნეს გარემოს განვითარების მეხუთე ეტაპი. აღნიშნულ ეტაპზე ბიზნესმა რადიკალურად იცვალა სახე. მსოფლიოს ქვეყნები და მათ შორის საქართველო ჩართული ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში და ამის გამო ბიზნესი გახდა მოძრავი და დინამიური. საქართველო ცდილობს შეაღწიოს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებში და აიმაღლოს იმიჯი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ქვეყნებს შორის ხორციელდება მუდმივი ბრძოლა კონკურენტუნარიანობის ამაღლების გამო.

სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ბიზნეს ნიადაგი ქვეყანაში. სახელმწიფოს ქმედებები ბიზნესსექტორის მიმართ მათ მიერ აღიქმება ადეკვატურად, სახელმწიფოს ასევე შეუძლია შეზღუდოს მიდგომა ბაზართან და შემოიღოს უსაფრთხოების ისეთი სტანდარტები, რომლებსაც არასაბაზრო სტანდარტები ეწოდებათ.

ბიზნეს სექტორის რეგულირება ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სისტემას და აღნიშნული რეგულირება მოიცავს:

- შემადგენელ ელემენტებს შორის ურთიერთობის სისტემას;

- მიზანს მაკროეკენომიკურ დონეზე;
- ბიზნესსექტორის საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას;
- საგარეო ვაჭრობის რეგულირებას, მხარდაჭერასა და სტიმულირებას;
- ხელსაყრელი სოციალური ფონის ჩამოყალიბებას, რომელიც პოზიტიურად იმოქმედებს ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორის მიზნები სრულებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბიზნეს სექტორს ცხადია აქვს კერძო მისთვის ბენეფიცის მომტანი მიზნები, ხოლო, სახელმწიფოს საზოგადოებრივი მიზნები თუმცა ქვეყნის გამართული ფუნქციონირებისთვის ერთი მეორესთან თანამშრომლობა და ხელშეწყობა აუციელებელია.

საქართველო მოწოდებული, რომ უზრუველყოს საზოგადოების ნების ასრულება და ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სასვებით მორგებული ვერ იქნება კერძო სექტორის ყველა წარმომადგენელზე.

2.2 საქართველოს სამართლებრივი გარემო ეკონომიკურ ჭრილში

წარმოუდგენელია ბიზნეს გარემოს ფორმირება და გაუმჯობესება პროცესში სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე და შესაბამისი კანონმდებლობის არსებობის გარეშე. სწორად საქართველოს ბიზნეს კანონმდებლობა ახდენს უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ გავლენას ბიზნესზე და დღითიდღე ის უფრო მოქნილი და ყველა ბიზნესსუბიექტზე მორგებული ხდება.

ბიზნეს კანონმდებლობის ძირითად შემადგენელ კომპონენტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

  აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, დარღვევის სახეებს და ა. შ. უფრო კეძოდ ძირითადი მუხლებისა და თავების განმარტებებს შემოგთავაზებთ.

  საქართველოს საგადასახადო კოდექსის კონსოლიდირებული ვერსია მიღებულ იქნა 2010 წლის 17 სექტემბერს და ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის I თავი მოიცავს საქართველოს საგადასახადო სისტემის და პირველ მუხლში განისახღვრება აღნიშნული კოდექსის რეგულირების სფერო - კონსტიტუციის შესაბამისად. II მუხლში განხილულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა. აღნიშნული მუხლის მიხედვით „გადასახადებით დაბეგვრისთვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველო საგადასახადო კანონმდებლობა“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 2- 2) და საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით ბრძანებას გასცემს სსიპ - შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 2 – 5) ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს - ხსენებული კოდექსის აღსრულების მიზნით იღებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 2 – 3).

  საქართველოს საგადასახაადო კოდექსის მე-9 მუხლში განმარტებულია ეკონომიკური საქმიანობა - „ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად...“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 9 – 1). აღნიშნული მუხლის მიხედვით ეკონომიკურ საქმიენობას არ მიეკუთვნება რელიგიური,

საქველმოქმედო საქმიენობა, დაქირავებით მუშაობად და ა.ს. მომდევნო მუხლებში (10 – 16) დეტალურად არის განხილული არაეკონომიკური საქმიანობები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლში განხილულია საქონლის / მომსახურების ფასის განსაზღვრის პრინციპები - რომელიც, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის განვითარებული ქვეყნების საგადასახადო კოდექსუს საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრასთან უმეტესწილად თანხვედრაში მოდის. აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულია გადასახადების დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები, აღნიშნული მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ საქონლის ან/და მომსახურეობის ფაქტობრივი ფასი, თუ საბაზრო ან სხვა ღირებულება არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საგგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლში განმარტებულია ვინ მიიჩნევა გადასახადის გადამხდელად. გადასახადის გადამხდელი პირი არის პირი რომლსაც ეკისრება აღნიშნული კოდექსის დადგენილი წესით გადასახადის გადახდის ვალდებულებ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოდევნო მუხლებში განხილულია ადგილობრივი და უცხოური საწარმოების განსაზღვრებები, ასევე საერთაშორისო კომპანიების, სპეციალური სავაჭრო პომპანიების, სპეციალური საწარმოების, თავისუფალი და სპეციალური საწარმოო ზონების მნიშვნელობაა განხილული.

კოდექსის IV თავი ეთმობა გადასახადის გადამხდელის სამართლებრივ დაცვას, 38-ე მუხლში წარმოდგენილია გადამხდელის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. 39-ე მუხლში წარმოდგენილია, რომ

საგადასახადოორგანოს მიერგადამხდელის შესახებ მიღებული ყველა ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოებას მიეკუთვნება, გარდა:

- ინფორმაცია გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია;
- სტატუსი;
- სახელწოდება;
- სამართლებრივი ფორმა;
- მისამართი;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საიდენტიფიკაიო ნომრის მინიჭების თარიღი;
- მარეგისტრირებელი ორგანო;
- საგადასახადო დავალიანება;
- ხელმძღავნელობის/ წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირები;
- დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია;
- საგადასახადო გირავნობა და ა.შ.
- მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ეწწსტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაცია;

გადასახადის გადამხდელის უფლებების შესახებ წარმოდგენილია ინფორმაცია 41-ე მუხლში.

კანონში მეწარმეთა შესახებაწესრიგებს სამეწარმეო საქიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ ნორმებს. ასეთ საქმიანობად მიიჩნევა არაერთჯერადი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც მოგების მიღების მიზნით ხორციელდება დამოუკიდებლად.

პირობითად, თუ რაიმე ნივთი დაიმპორტირდება ერთჯერადად, ეს საქმიანობა ჩაითვლება ნივთის იმპორტად პირადი მოხმარებისთვის, თუმცა თუ ეს მოქმედება

არაერთჯერად ხასიათს მიიღებს ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც სამეწარმეო საქმიანობად.

- კანონი მეწარმეთა შესახებ;

  საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ ნორმებს აწსრიგებს. როგორც საგადასახადო კოდექსის განხილვისას ავღნიშნე სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა ისეთი საქმიანობა რომელიც მოგების მიღების მიზნით არაერთჯერადად ხორციელდება.

- საბაჟო კოდექსი;

  აღნიშნული კოდექსი აწესირებს საქართველოს საბაღოდან საქონლის შემოტანისა და გატანის პროცედურების სამართლებრივ პრინციპებს, განსაზღვრავს ამ პროცედურების კონტროლის სისტემას - ზედამხედველობას, საბაჟო კოდექსი არეგულირებს საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარმოშობილ ურთიერთობაში მონაწილე სუფიებქტების სამართლებრივ მდგომარეობას.

  რაც შეეხება საბაჯო გადასახადს - საგადასახადო კოდექსი აწესრიგებს, ხოლო, საბაჟო მოსაკრებელს აწესრიგებს კანონი საბაჟო მოსაკრებლის შესახებ.

- კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;

  აღნიშნული კანონი არგეულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებებს რომლების ეხება განუსაზღვრელ ადამიანთა წრეს - ხასიათდება სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საზიანო თვისებით,

  აღნიშნული კანონი ასევე შეიძლება გვრცელდეს რარაორგანიზებულ ქმედებაზეც. ესკანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიათა და ნებართვით

რეგულირებულ სფეროს, ნებართვების სახეობების სრულ ცამონათვალს განმარტავს და ლიცენზიებისა და ნებართვის გაცემის წელლს ადგენს, ასევე ლიცენზიებში და ნებართვებში ცვლილების შეტანასა და მათი გაუქმების წესებს.

- კანონი საბაჟო მოსაკრებლის შესახებ;

  კანონი საბაჟო მოსაკრებლის შესახებ განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ საბაჟო პროცედურებისთვის გადასახდელი მოსაკრებლის განაკვეთებს, მათი გადახდის წესებსა და ვადებს.

- კანონი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ;

  აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სატამაშო ბიზნესტან დაკავშირებულ გადასახადების განაკვეთებს, გადახდის წესებსა და მის ვადებს.

- საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ;

  აღნიშნული კანონი განსაზღვრავს კანონით დადგენილ სანებართვო და სალიცენსიო საქმიანობის გახორციელებისთვის ან/და სარგებლობისთვის უფლების მინიჭებისთვის საჭირო მოსაკრებლის მოცულობას, გადახდის წესაა და მის ვადებს.

- კანონი საქართველოს ტერიტორიებიდან საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავი ნებართვების მოსაკრებლის შესახებ;

  ეს კანონი საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვის საჭირო ნებართვის გაცემის მოსაკრებლის ოდენობას განსაზღვრავს ~, ასევე მისი გადახდის წესებსა და ვადებს.

თავი III:საინვესტიციო გარემოს გავლენა ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე

3.1 საქართველოს საინვესტიციო გარემო

საინვესტიციო გარემო თავისმხრივ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სისტემაა აღნიშნულ გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია:

- მაკროეკონომიკური პარამეტრები
- ფინანსური მდგომარეობა
- კერძო საკუთრება
- ვალები და მათი მომსახურება
- საგადასახადო რეჟიმი
- გეოპოლიტიკური მდებარეობა
- პოლიტიკური რისკები
- ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება

ჩემი აზრით ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთადერთი რომელზეც სახელმწიფო ვერ ახდენს გავლენას არის გეოპოლიტიკური მდებარეობა აღნიშნული ყალიბდება გეოგრაფიული მდებარეობით და ყველა პოტენციურ ინვესტორს სურვილისამებრ შეუძლია ასეთი ქვეყანა აირჩიოს კაპიტალ დაბანდებისთვის. ამ ფაქტორის მიხედვით დღესდღეობით არასახარბიელო ვითარებაა საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა ფულად საკრედიტო პოლიტიკის მორგება ინვესტორზე სწორედ ფულად საკრედიტო პოლიტიკა აფერხებს საინვესტიციო აქტივობებს აღსანიშნავია ისიც რომ საქართველოში თავი იჩინა დაინვისტირების რიცხვის იმაზე დაბალმა

მაჩვენებელმა ვიდრე იზოგება ეს ფაქტი კერძო სექტორის დაბალი ეფექტურობის და დაბალი ინვესტირების მიმზიდველობის შედეგია. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს მატერიალურ წარმოებაზე ორიენტირებული სტიმულირების ღონისძიებები რომელიც ძირითადად მიმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისკენ ეს კი უზრუნველყოფს ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლებას რაც თავისთავად პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დღევანდელობაში.

საინვესტიციო სფეროში ეფექტურობის მაჩვენებლის ამაღლების შესაძლებლობა დღესდღეობით ცოტაა თუმცა თავისმხრივ უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე ის ზრდას განაგრძობს.

ჩემი აზრით სახელმწიფოს ზრუნვა მიმართული უნდა იყოს მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობების გასაზრდელად მათშორის ადგილობრივების საჭიროა ისეთი ხონისძიებების გატარება როგორებიცა:

- საბანკო სისტემის განვითარება და სრულყოფა
- საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარება
- საინვესტიციო ფონდების შექმნა
- საკანონმდებლო ფაქტორის დახვეწა

ცალსახად შეიძლება ითქვას რომ საქართველო უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად არცთუისე ხელსაყრელია. აღნიშნული განპირობებულია მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით ეკონომიკური კრიზისით და ვალუტის მდგრადობით

დაახლოებით 30 წელია რაც დაიწყო საინვესტიციო გარემოს დანერგილი შეფასება აღსანიშნავია რომ უპირველესი კვლევა ამ სფეროში ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სპეციალისტებმა შეასრულეს მათ აიღეს შკალა ე.წ. საექსპერტო შკალა რომლებიც მოიცავდა შემდეგ მახასიათებლებს:

- საკანონმდებლო გარემო (უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისთვის)
- კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები
- ეროვნული ვალუტას მდგრადობა
- პოლიტიკური გარემო
- ინფლაციის შეფასება
- ეროვნული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ

HF- Heritage Foundation ასეთმა ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტმა 2007 წელს გამოაქვეყნა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით გამოკვლეულთა და შეფასებულთა ნუსხა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექექსით საქართველო 102_ე ადგილზე იყო რაც ნიშნავდა რომ საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ არათავისუფალ კატეგორიას მიაკუთვნეს იქვე ნახსენები იყო რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო გაუარესებული იყო და არალეგალურ ვაჭრობასაც ქონდა ადგილი

სავალუტო ფონდის მონაცემებით უცხოელი ინვესტორები კორუფციისკენ მიდრეკილს არაგამჭირვალეს და ბიუროკრატიულს მიიჩნევენ ჩვენს ბიზნესგარემოს. არშემიძლია არ ავღნიშნო რომ სახელმწიფოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად აფერხებს გაჭიანურებული ბიუროკრატიული პროცედურები სავალუტო ფონდმა აღნიშნა ისიც რომ ქვეყნის საკუთრების უფლების დაცვის მაჩვენებელი ქვეყნნის დემოკრატიულ წინსვლას ეჭვქვეშ აყენებს

სწორედ ამგვარი კვლევების საფუძველზე იღებენ ინვესტორები გადაწყვეტილებას მათი საქმიანობის დაფუძნებამ ამათუიმ ქვეყანაში .

XXI საუკუნეში როგორც ყვექნების ეკონომოკიური განვითარებისკენ სწრაფვის ხანაში თითოეული ქვეყნისთვის საქტუალური თემაა საინვესტიციო გარემოს

მიმხიდველობა. აღნიშნულ საკითხში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არასტაბილური ვალუტა, რაც საქართველოსთვისაც უმნიშვნელოანესი პრობლემაა. საჭიროა ლარის კურსის დასტაბილურება, რადგან საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე პოზიტიური ადგილი დაიკავოს.

საქართველოს ვალუტის მდგომარეობის უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილია ცხრილები, რომლებიც წლების მიხედვით ასახავენ ლარის კურსს აშშ დოლართან მიმართებით, დაფიქსირებული ყოველწლიური მაქსიმუმისა და მინიმუმის გათვალისწინებით (დიაგრამა 3.2;) 2016 წლიდან - 2020 წლამდე, ხოლო 2001 წლიდან 2015 წლის ჩათვლით არსებული ლარის კურსების დიაგრამები (დიაგრამა 3.3, 3.4; 3.5)

დიაგრამა 3.2

2016 – 2020* წლების ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით (მინიმუმი - მაქსიმუმი)



	მინიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
2016 წ.	2,1272	2,3493	2,7846
2017 წ.	2,3824	2,4989	2,7674
2018 წ.	2,3912	2,535	2,7656
2019 წ.	2,6404	2,8174	2,9808
2020 წ.	2,8661	2,879	2,8986

წყარო: https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

*წინასწარი მონაცემები

როგორც მოცემული ცხრილებიდან ირკვევა, საქართველოში საკმაოდ არასტაბილურია ეროვნული ვალუტა.

ცხადია, რომ ლარმა 2008 წლამდე საკმაოდ იკლო და მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს მინიმუნი - 1,396; მაქსიმუმი - 1,667, ნათელია, რომ ეს იმდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა, რომელიც სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა. 2008 წლის შემდეგ დღემდე აშშ დოლარის კურსი ყოველდღიურად მატულობს, თუმცა მიმდინარე წელს ლარის შედარებით სტაბილურ კურსს უნდა ველოდოთ.

გარდა სტაბილური და მყარი ეროვნული ვალუტისა საქართველოს საინვესტიციო გარემო დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, პოლიტიკურ გარემოზე, სოციალურ ფონზე და ა.შ.

განვითარებადმა ქვცეყნებმა, როგორიც საქართველოა 2000-იანი წლების შემდეგ დაიწყეს საინვესტიციო რეჟმის ლიბერალიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და შესაბამისად ეს იქნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.

მაშინ, როცა საუბარია საქართველოს ეკონომიკურ წინასწვლაზე გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რომელიც საივესტიციო გარემოზე მოქმედებს:

- ქვეყნის ეკონომიკა განვითარების რა ეტაპზეა;
- საბაზრო მექანიზმების განვიტარების პერსპექტივა;
- საკანონმდებლო ფაქტორი;
- რა სოციალურ ეკონომიკურ პროგრამას ახლორციელებს ქვეყანა ინვესტირებასთან მიმართებაში;
- საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა;

საყურადსაღებოა საქართველომ უპირატესობა მიანიჭოს უცხოელი ინვესტორის მოტივაციას.

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტირება საქართველოში

მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის ეკონომიკის მაცოცხლებელ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტირება წარმოადგენს და განსაკუთრებით განითარებადმა ქვეყნებმა, როგორიც საქრთველოა უნდა იზრუნონს პირდაპირი უცხოური ინვესტიციციების მოზიდვაზე რათა არასტაბილური ეკონომიკური გარემო დაასტაბილუროს და ეკონომოკური მდგომარეობა მოაძლიეროს.

დღევანდელობაში მსოფლიოს ქვეყნებში უცხოური კაპიტალი დაბანდების მრავალი სახეობა არსებობს, თუმცა საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი და შესაბამისად ყველაზე უფრო მმნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტირებაა.

როგორც უკვე ავღნიშნე, ინვესტიციებისა და მათ შორის რათქმაუნდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა საქართველოში იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი, ვინაიდან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველო განიცდის საკუთარი სახსრების დეფიციტს. წარმოდგენილია დიაგრამა (დიაგრამა 4.0) პუი-ს შემოსვლის შესახებ საქართველოში 2013 – 2019 წლებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაინამიკა 2013 – 2019 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა 4.0



წყარო https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას, საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს უცხოელი ინვესტორების ინტერესებს, მისცეს მათ სამართლებრივი გარანტიები, რომ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია აუცილებლად იქნება სამართლებრივად დაცული. საჭიროა ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს რის საფუძველზეც ინვესტორი იქნება გადაწყვეტილების მიღებაში თავსუფალი და აუცილებლად იქნება დაცული საკუთრების უფლება. ასევე უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილია პუი-ს

შემოსვლის ცხრილი 2013 წლიდან 2019 წლამდე კვალტალური გადანაწილებით (დიაგრამა 4.1).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაინამიკა 2013 – 2019 წლებში

კვარტალურად (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა 4.1

-



	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.*
I კვ.	291,8	331,9	343,4	392,2	411,7	323,5	287,6
II კვ.	224,1	217,6	493,2	452,1	394	403,6	204,1
III კვ.	271,6	749,5	531,1	506,5	627,9	367	417,3
IV კვ.	151,6	538	361,3	299,5	529	171	

წყარო https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

*წინასწარი მონაცემები.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტირებისთვის საქართველო მეტ-ნაკლებად მიმზიდველი ქვეყანაა. გამომდინარე ლიბერალური საგადასახადო კოდექსისა და კანონის უცხოური ინვესტიციების შესახებ,

სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და ასევე ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურული ღირებულებები.

თავის მხრივს საქართველოს აუცილებლად სჭირდება შემოდინებული რესურსი პირდაპირი უცხოური ინვესტირების სახით და ცდილობს ამისთვის ხელშემწყობ ფაქტორებზე იმუშაოს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არ გულისხმობას საქართველოსთვის მხოლოდ მატერიალური რესურსის შემოდინებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საართველოში არამატერიალური ბენეფიტებიც აქვს, როგფორიცაა ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

როგორც, ცხრილებზეც ნათლად ჩანც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტირება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, 2012 წელს ხელისუფლებაში ახალი ძალიას შემოსვლის შემდგომ -ს მაჩვენებელმა საგრძნობლად იმატა და ძირიტადად მცირედი დაღმასვა და აღმასვლა ფიქსირდება მას შემდეგ.

საიტერესო და საყურადსაღებოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაროგობრივი გადანაწილება დროის მონაკვეთში, პირობითად შეიძლება განვიხილოთ 2019 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული პუი-ს დარგობრივი გადანაწილება. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის მესამე კვარტალში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი საფინანსო სექტორზე მოდის 23%, 12 % დამმამუშავებელი მრეწველობა, 11% - სასტუმროები და რესტორნები, 10 % - მშენებლობა და 9% მრეწველობა, 7% მოდის უძრავ ქონებაზე, 4% - სამთომოპოვებით მრეწველობაზე , 3 – 3% მოდის ტრანსპორტსა და ჯანდაცვაზე და დარჩენილი 18% მოდის სხვა დანარჩენ სექტორებზე (იხ. დიაგრამა 4.2 დანართში).

წარმოდგენილია უმსხვი;ლესი ინვესტორი ქვეყნების წილი საქართველოში 2019 წლის III კვარტალში საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (დიაგრამა 4.3)

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორიქვეყნები გადანაწილება 2019* წლის III კვარტალში (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა 4.3



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

*წინასწარი მონაცემები.

3.3 საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების პერსპექტივები

როგორც უკვე ავღნიშნე ბიზნეს გარემო წარმოადგენს ისეთი ცნებების ერთბლიობას როგორებიცაა: სოციალური, ტექნოლოგიური,ეკონომიკური და

პოლიტიკური გარემოებები. ეს ზემოთჩამოთვლილი გავლენას ახდენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების შესაძლბლობაზე.

საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირებისთვისა და განვითარებისთვის გრძელი და არც თუ ისე მარტივი გზაა გასავლელი. საქართველოსთან მიმართებაში - ქართველი ექსპერტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მეწარმეების აზრით ბიზნეს გარემო განვითარების გზას ადგას. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდგამარტივდა ბიზნესის კეთება საქართველოში.

მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო რეფორმებმა გამოიწვია საქართველოს ბიზნეს გარემოს განვიტარების დადებითი ტენდენცია. თუმცა, ეს რათქმაუნდა არ არის საკმარისი და აუცილებელია საკანანმდებლო გარემოს კიდევ უფრო დახვეწა და ინფრომირებულობის დონის ზრდისაკენ სწარფვა.

საქართველლოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლადყველაზე დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს აკისრია თუმცა სახელმწიფოს გარდა განვითარების პროცესში წვლილი აუცილებლად უნდა შეიტანოს კერძო სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ.

როგორც უკვე მრავალჯერ ავღნიშნე საქართველოს ბბიზნეს გარემო განვითარების გზას ადგას, თუმცა საქართველოს ჯერ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი მისია აკისრია აღნიშნულია განსავითარებლად.. ამ უკანასკნელისთვის აუცილებელია გამართული დიალოგის ტენდენციის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, საჭიროა საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება და დახვეწა, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპეპის არსებობა არც თუ ისე დიდ დროს ითვლის და სავარაუდოდ აქედან გამომდინარეობს ქარრთველი მეწარმეების დაბალი მეწარმეობრივი უნარები.

საქართველოს ბიზნეს გარემოს საკმაოდ დიდ და გადაუჭრეს პრობლემას წარმოადგენს შორის ბაზარი, თვის მხრივს ქვეყანაში საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე, თუმცა ამავდროულად კომპანიებს ძალიან უჭირთ სასურველი კადრის მოძიება. მეწარმეობრივი უნარების დაბალი მაჩვენელის გამო, საჭირო გამოცდილების არქონისა ან/და ინფორმაიის არქონის გამო ქართული კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს ადგილობრივ ბაზარზე თავის დამკვიდრებას და შესაბამისად უჭირთ საერთაშორისო ბაზარზე გასვლაც.

საქართველოს ბიზნესოს გარემოს გაუმჯობესების მნიშნელოვანი ხელისშემწყობი ფაქტორი - საკანონმდებლო გარემო საკმაოდ გაუმჯობესდა და მნიშვნელოვნად ლიბერალური გახდა და აღნშნული პროცესი დღესდღებითაც მიმდინარეობს.საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებისკენ სწარფვამ მოითხოვა კანონების ხშირი ცვლილება და ახალი კანონების მიღება. 2005 წლიდან 36 ცვლილებაა შესული და სავარაუდოა რომ კიდევ უფრო მეტს უნდა ველოდოთ.

საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ასეთი სიხშირე გამოწვეულია მეწარნმეთა დაბალი ინფორმირებულობით.საქართველოში ბიზნესის წარმოებისთვის 10 ყველაზე პრობლემატუ საკითხს შორისაა რთულად აღსაქმელი კანონმდებლობა და კანონების ხშირი შეცვლა. აღნიშნულნი ყველაზე მეტად ზემოქმედებენ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარებაზე.

კიდევ ერთი მნიშნელოვანი პრობლემა საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის ინფორმირებულობის დაბალი დონეა. ამ პრობლემის არმოფხვრის გზაზე მნიშვნელოვანია დგილი უჭირავს არასამთავრობო

სექტორსა და მას-მედიას. იმნოფრირებულობის დონის ასამაღლებლად საჭიროა ინტერნეტზე წვდომა, განსაკუთრებიძთ ეს პრობლემა თავს იჩენს რეგიონებში. ეს უკანასკნაელი კი ნამდვილად ვერ უწყობს ხელს კანონის ცნობადობის ზრდას.

საქართველოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძ ება ითქვას, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონი საკმაოდ კარგადაა ცნობილი კერძო სექტპრისთვის . გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა არ იცოდა ექვემდებარებოდა თუ არა მათი საქმიანობა ლიცენზიის არებას.

საგადასახადო კიდექსის შემთხვევაში ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესს ხელს შეუქყობს კოდექსში ზოგადი ინტრუქციებისა და განმარტებების მომზადება. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს ჯარიმების მოცულობა - ეს კი ყველაზე მეტად მცირე ბიზნესზე ზემოქმედებს ნეგატიურად. საჭიროა ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს კომპანიის მოცულობაზე და დარღვევის მასშტაბზე. ვინაიდან, მცირე მეწარმეებისთვის შიძლება ჯარიმის ოდენობა გამანადგურებელი იყოს, ხოლო მსხვილ ბიზნესის ბიუჯეტზე სულ ოდნაც იმოქმედოს.

ჩვენ ზემოთ საგადასახადო კოდექსი ვრცლად განვმარტეთ და კიდევ ერთხელ ავღნიშნავ აღნიშნულ კოდექსში კონტროლის პროცედურების არსებობას. საგადასახადო კოდექსის განსაზღვრულია 11 კოტროლის პროცედურა და საჭიროა მეწარმეების ინფორმირებულობის გაზრდა აღნიშნულთან დაკავშირებით. ამასთანავე, აუცილებელია გამჭირვალე გახდეს პრინციპი, რის მიხედვიტაც ხდება კონტროლის სახის შერჩევა და რის საფუძველზე ირკვევა ერთ-ერთი მეთოდის უპირატეწსობა მეორე მათგანზე.

საგადასახადო კანონმდებლობაში კანონების დამუშავებასა და დახვეწის გარდა საჭიროა კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის დიალოგის პრაქტიკის გაუმჯობესება. ორივე მხარის აზრების გონივრული გათვალისწინება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის შენიშვნებისა და აზრების გათვალისწინება, ეს ხელს შეუქყობს კანონის აღქმას და მხარეტა შორის კეთილგანწყობის ფორმირებას.

საკანონმდებლო ჭრილში საქართველოში ბიზნესისი დაწყება საკმაოდ გამარტივებულია. პროცედურული ბარიერები თითქმის გამქრალია საწარმოს დარეგისტრირებისთვის.

აღსანიშვნავია, რომ როგორც, ბიზნესისი დაწყებისთვის და ასევე მისი გაფართოებისთვის აუცილებელია ფინანსური რესურსების მოძიება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მრავალი ისეთი პირობაა შექმნილი, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას. შეცვლილია საბაჟო კანონმდებლობა და გამარტივებულია ამ საკითხთან დაკავშირებული პროცედურები. ადგილობრივ საწარმოებს საშუალება აქვთ 9000-დე დასახელების პროდუქტის შეღავათიანად გაიტანონ საზღვრებს გარეთ, მათ შორის 7200-მდე დასახელების პროდუქტი ნულოვანი განაკვეთით.

მიხედავად ყველა ამ პირობისა, ქართული საწარმოების დიდი ნაწილი არათუ ექსპორტზე გასვლას, არამედ ადგილობრივ ბაზარზეც ვერ ახერხებენ თავის სრულფასოვნად დამკვიდრებას. ჩემი აზრით ამის მიზეზი ნაკლები ინფორმირებულობაა. გამოკითხულ მეწარმეთა 92% ასახელებს, რომ საბაჟო კანონმდებლობა რთულად აღსაქმელია, გარდა ხსენებულისა ადგილობრივი მეწარეებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია უცხოულ ბაზარზე გასაღების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

ძალიან რთულია ბიზნეს გარემო განვითარება კერძო სექტორში მეწარმეობრივი ცოდნისა და შესაბამისი უნარების არქონიოს გარეშე. როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს გარემო კომპანია ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევს წარმატებას თუ ამავე კომპანიის მენეჯერს არ გააჩნია შესაბამისი მეწამეობრივი უნარერბი და ცოდნა, თან აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ ბაზარზე კონკურენცია დღითიდღე უფრო იზრდება.

ამონაგები თანხის წარმოებაში ჩაბრუნების პრაქტიკის არარსებბობა - მეწამეობრივი უნარის არასებობა უარყოფიტად მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

ადგილობრივ მეწარმეებს არ აქვთ საბაზრო ურთიერთობის უნარი, არ აქვთ მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების გამოცდილებ, განვითარების ძალიან დავალ დონეზეა სიზნესსაკონსულტაციო მომსახურების ბაზარი.

საქართველოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა გაიზარდოს მეწარმეობრივი უნარები რაშიც მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს სახელმწიფომ, არასამთავრობო სექტორმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

როგორც უკვე მრავალჯერ ავღნიშნე თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის განვითარება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე რეფორმებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა ბიზნესის განვითარებაზე თუმცა კვლევის შედეგადდადგინდა, რომ საქართველო ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო ღონისძიებებზე და არა მწარმოებლურ ეკონომიკაზე

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ბიზნეს გარემომაც შესაბამისი ხასიათი მიიღო

ცალსახად რომ ითქვას ბიზნესი სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა კეთილდღეობის კონკრეტული დონე ახალი სამუშაო ადგილები და წარმოების ზრდისკენ სწრაფვაა. ჩამოთვლილის გარეშე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია

საქართველოში ბიზნესკლიმატი პოზიტიური ტენდენციით ხასიათდება თუმცა მიმდინარე პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს

ჩემი მოსაზრებით ბიზნეს გარემოს ფორმირებისას მეტად გასათვალისწინებელი და ხელშესაწყობია ის ფაქტორები რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესმეწარმეებს შეუწყობს ხელს საჭიროა რეგიონებში სანედლეულო რესურსების ათვისება მცირე საოჯახო ბიზნესების წახალისება რათქმაუნდა აღსანიშნავია ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა სასტუმროს საქმიანობის წინ წაწევა რათა სწორედ კერძო სექტორის განვითარების ტემპს

საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სამუშაო პერსონალის კვალიფიციურობის დაბალი დონე სიღატაკის მაღალი მაჩვენებელი და მცირე ბაზარი

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით შესწავლილ 148 ქვეყანას შორის საქართველო ძალიან ჩამორჩენილ ქვეყანად ითვლება:

- განათლების სისტემის ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით - 105_ე ადგილი უჭირავს საქართველოს

- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 92_ე ადგილი
- თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი ათვისების მაჩვენებლის მიხედვით - 117_ე ადგილი
- ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა - 83_ე ადგილი
- ტრენინგების და მასტერკლასების ხელმისაწვდომობა - 130-ე ადგილი

დამეთანხმებით ჩამოთვლილი მაჩვენებლები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისთვის სავალალოა

საერთაშორისო კვლევების თანახმად ბოლო ათ წლეულში დაფიქსირებული ზრდა სიღარიბის მაჩვენებლის ასაწევად არიყო საკმარისი. წარმოდგენილია ცხრილი საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლის შსახებ (დიაგრამა 5.0).

დიაგრამა : 5.0



წყარო: საქსტატი https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

საქართველოს მოსახლეობიდან 1.7 მილიონამდე ადამიანი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიანი აღრიცხვის ბაზაში (2013 წლის მონაცემებით) , ეს არის იმდროინდელი მოსახლეობის თითქმის 40% . ამავე კვლევის თანახმად საქართველოს მოსახლეობის 35% ცხოვრობს დღიურ 2 ამერიკულ დოლარზე ნაკლები შემოსავლით

2014 წელს საქართველოში საარსებო მინიმუმი 150 ლარს შადგენდა რაც მოგეხსენებათ ძალიან დაბალი რიცხვია და რაშიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული განათლების საფასური დღესდღეობით კი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები ამ სავალალო მფგომარეობის აღმოსაფხვრელად. მიმდინარე ხელისუფლების მართველობის პერიოდის დასაწყისიდან მოყოლებული პერიოდულად იზრდება პენსიები როგორც ასაკობრივი ისე შშმ პირთათვის გათვალისწინებული, საარსებო მინიმუმის რიცხვი და სოციალურად დაუცველთათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების რიცხვი.

ჩმოთვლილ და უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად საქართველოს ბიზნეს გარემოზე ძალიან ნეგატიურად მოქმედებს ქვეყანაში კომფლიქტური ზონების არსებობა მიუხედავად კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებობისა მაინც არსებობს ქართულ აფხაზური ურთიერთობები იმშემთხვევაშ თუ საქართველო მნიშვნელოვან-სწორ პლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამს ეკონომიკური კავშირების გაბმის საფუძველზე სავსებით რეალურია რომ ქართულ აფხაზური დაძაბული ურთიერთობა მშვიდობიანად მოგვარდეს.

ექსპერტთა რეგიონული ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ერთი პროექტი ,ეს ჯგუფი შედგებოდა ქართველ, აფხაზ, სომეხ, აზერბაიჯანელ, თურქ და რუსი ექსპერტებისაგან პროექტის ფარგლებში განხილული იყო ეგრეთწოდებული

ტრანსკავკლასიური რკინიგზის ხაზის აღდგენაზე აღნიშნული გზა რუსეთს აფხაზეთის გავლით საქართველოსთან აკავშირებდა შემდეგ სომხეთთან და ბოლო ლოკაცია იყო ირანი. თავის მხრივ ეს პროექტი იმით იყო მიმზიდველი რომ კაპიტალის ფარგლებში პროექტის ღირებულება 250-400 მილიონამდე შადგენდა აღნიშნული რკინიგზის ხაზის საშუალებით შსაძლებელი გახდებოდა საქართველოდან ყველაზე სწრაფი გადაადგილება ტვირთის გადატანა და ეს იქნებოდა ყველაზე იაფი. თუმცა მაშინ როდესაც ამ საკითხზე ქართველმა ექსპერტებმა ქვეყნის შიგნით ჩაატარეს კვლევა მათ მიიჩნიეს რომ აღნიშნული სარკინიგზო ხაზის აღდგენა მიზანშეუწონელი იყო - საქართველოს პოლიტიკური - კონფლიქტური მდგომარეობის გამო რუსეთთან.

ჩემი აზრით საქართველოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა უჭირავს საქართველოსა და რუსეთს შორის კომფლიქტის მოგვარებას.

ბიზნეს გარემოს განსავითარებლადსაჭიროა გამოიყოს ძირითადი მიმართულებები, ნაწილობრივ შევაფასეთ ქვეყნის პოტენციალი და ქმედითუნარიანობა.

ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად საჭიროა ქვეყანაში ფინანსური რესურსების მოძიება იყოს ხელმისაწვდომი. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

როდესაც ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი არაა - მეწარმე ვერ შეძკებს განვითარებას, ვერც კადრების გადამზადებას, ახალი დანადგარების შეძენას და ა.შ.

ჩემი აზრით საქართველოში ყველაზე მეტად აღნიშნული რესურსის მოძიება აგროსექტორს უჭირს, სეზინურობის გამო აგროსექტორზე ნაკლები მოცულობის თანხა გაიცემა ან საერთად უარს ამბობს ბანკი მათთვის კრედიტის გაცემაზე. საჭიროა სახეკმწიფომ მიიღოს შესაბამისი ზომები და დაარეგულიროს კრედიტის გაცემა ყველა ბიზნეს მეწარმისთვის, ვინაიდან აგროსექტორს საქართველოს ბიზნესის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბიზნესგარემოს განვითარების ხელისშემშლელი კიდევ ერთი ფაქტორი კვალიფიციური კადრების სიმცირეა. არაკვალიფიციურ კადრებს არამხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა ან ათვისება არამედ არსებულის გამოყენებაც უჭირთ ამიტომ საჭიროა კვალიფიური კადრების დიდი ნაკადი ქვეყანაში.

საქართვლოში კვალიფიციური კადრების სიმცირე განსაკუთრებით იგრძნობა მენეჯმენტში. დღესდღეობით საქართველოში არა არსებობს კვალიფიკაციის ზრდის სტრაატეგია და საჭიროა შემუშავდეს დაუყოვნებლივ.

პრობლემის აღმოსახვრელად საჭიროა კადრების შეცდომების მინიმალიზაცია, პერსონალის ეფექტური მართვა, სტაფის მოღვაწეობის სტიმულაცია, მათი წახალისება.

ბიზნესგარემოსთვის არანაკლები პრობლემაა გარკვეულწილად ექსპორტის შეზღუდვა. დღესდღეობის ქართული ბიზნესსექტორის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ტერიტორიაზე მოღვაზეობს და საკმაოდ მცირეა მათი რაოდენობა, რომლებას პროდუქტი ან/და მომსახურეობა ქვეყნის გარეთ გააქვთ.

როგორც ზემოთ ცხრილებშიც ნათლად ავსახეთ ექსპორტის ზრდის ტემპი 3-ჯერ ნაკლებია იმპორტის ზრდის ტემპზე. და ყოველწლიური დაკვირბვებით დგინდება იმპორტის რიცხვი უფრო და უფრო იზრდება.

ექსპორტის ზრდის ძირითთადი პრობლემა ეროვნული ვალუტის მდგომარეობაა. ზოგადად ძვირი ეროვნული ვალუტა თავისთავად აძვირებს პროდუქციას და ქართული ლარის გამყარების პირობებში ქქართულ მიზნეს სექტორს ისე უძვირდება პროდუქტი, რომ იგი საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ არაკონკურენტუნარიანს ხდის.

საქართველოში საკმაოდ დაბალია ბიზნესის კულტურის დონე, მნიშვნელოვანი პრობლემაა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთასწავლება / გადამზადება. საერთოშორისო სტანდარტებზე მორგებას მოითხოვს მეწარმეთა ქცევის ფრიქოლოგია.

საქართველოში სამწუხაროდ მრავლად გვხვდებიან ისეთი მეწარმეები, რომლებიც წარმოებას იქქყებს ყოველგვარი წინასწარი გაანგარიშების გარეშე. ასეთი მიდგომით საწარმოს წარმეტებით ფუნქციონირებისა და საერთოდ ფუნქციონირების ალბათობა ძალიან დაბალია.

საქართველოში აიილებელია ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქციის წარმოებისა და იმპორტის კონტროლი. საჭიროა დაცული იყოს მომხმარებელთა უფლებები, პროდუქციის გაყიდვისას მომხმარებელი უნდა იყოს ინფორმირებული მის მახასიათებლებზე.

საქართველოს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კიდევ ერთი პრობლემა ბიზნესსექტორის მხრიდან სახლსხრების მინიმალიზაციაში მდგომარეობს. კერძო სექტორი ცდილობს შეამციროს პერონალის ანაზღაურება მინიმუმამდე და ასევე მინიმალური დანახარჯი გაიღიონ საწარმოში ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანაზე.

ქართველი მეწარმეების დიდი ნაწილი ვერ ხვდება, რომ ამგვარი ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა და კომპანიის სიდა სისტემის სრულყოფა

კონკურენტუნარიანობის ზრდისა და დროთაგანმავლობაში კომპანიის განვითარების და მოგების ზრდის გარანტიაა.

ჩამოთვლილია ბიზნეს გარემოს გაუმობესების შემაფერხზებელი უამრავი ფაქტორი და კიდევ უამრავი რჩება თვალსაწიერის მიღმა. ბიზნესგარემოს წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად საკმაოდ დიდი ძალისხმევაა საჭირო, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის მხრიდან.

წარმოების სტიმულირებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აღსანიშნავი ფაქტორია საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ათვისება, რომლებას განეკუთვნება:

- „უპირატესი ხელშეწყობის რეჯიმით“საქართველო სარგებლობს, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი 153 ქვეყნიდან ერთ-ერთი ქვეყანა.

- საქართველო არის ევროკავშირის, აშშ-ის, იაპონიის, კანადის, შვეიცარიი და ნორვეგიის პრეფერენციათა სისტემის ბენეფიციარი. აღნიშNული გულისხმობს საიმპორტო საქონელზე შემცირებული ტარიფის არსებობას.

- საქქართველოს ორხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს რამდენიმე ქვეყანასთან, ამგვარი ხელშეკრულების არსებობა გულისხმობს ვაჭრობის განთავისუფლებას საბაჟო და საიმპორტო გადასახადისგან.

- საქართველო სარგებლობს GSP+ სისტემით, რომელიც ევროკავშირმა მიანიჭა და გულისხმობს ექსპორეტის ძალიან დაბალი ტარიფით დაშვებას ევროვაშირის ბაზარზე.

გარდა ჩამოთვლილი საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ამგვარი ბენეფიტებისა ევროკავშირი საქართველოს FTA+ ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს საკმაოდ დიდ იბენეფიტს მოუტანს, მშპ-ის მაჩვენებელი გაიზრდება 7.6%-ით.

აღნიშნული ხელშეკრულების მიღების შემთხვევაში,ევროკავშირში კიდევ უფრო შემცირდება ექსპორტთან დაკავშირებული ბარიერები.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტურიტული პოტენციალის სრულად ათვისება. ვინაიდან და რადგანაც, ამის საშუალლება საქართველოს ნამდვილად გააჩნია - თავისლამაზი ლანდშაფტით, მიმზიდველი კლიმატით, უძველესი კულტურით. ამ მიზნით კარგად დაგეგმილი პროგრამა დადებითად აისახება ტურისტულ გარემოზე და საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ლოკაციად იქცევა.

ჩემი აზრით საქართველოს ყველა რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ გახდეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყანა. საქართველოს აქვს 102 კურორტი, 1500 ისტორიული ძეგლი, 182 საკუორტო ადგილი და ისტორიული ძეგლების 4 მათგანი შეტანილი იუნესკოს მსოფლიო საგაძუნრთა სიაში. საქართველოს გააჩნია 2400 მინერალური წყარო და მათი დღე-ღამური მარაგი 130 მილიონი ლიტრია, ჩვენს ქვეყანას გააჩნია სამკურნალო ტალახები და ხელსაყრელი კლიმატი.

საქართველოს ეკონომიკის უმნიშნელოვანესი სექტორი სატრანზიტო მომსახურებაა, და მოსალოდნელია აღნიშნული სექტორის კიდევ უფრო გაფართოება და ხელშეწყობა, რაც ეკონომიკას ნამდვილად წაადგება. განვითარების ქინაპირობას უკვე არსებული ნავთობი და გაზსადენი გვაძლევს. ბაქო - ერზეულის გასზადენის საშუალებით შესაძლებელია გაზის მიწოდება

ევროპის ქვეყნებისთვის და მიმდინარე პოტენციალის ფარგლებში 30 მილიარდი კუბური აირის გატარება გახდება შესაძლებელი ყოველწლიურად. საქართველოსთვის მოსალოდნელია საავტომობილო ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა.

როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნე, საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანამ მცირე და საშუალო ბიზნეს-მეწარმეებს შეუწყოს ხელი და ასტიმულიროს. მცირე და საშუალო ბიზნესი სწორად ის სეგმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის საჭირო პროდუქციის ან/და მომსახურეობის წარმოებასადა მიწოდებას. ასევე ზუსტად ეს სეგმენტი უზრუნველყოფს მოსახლეობას ხელსაყრელი სამუშაო ადგილით.

ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდებს იმპორტშემცველი პროდუქტის განვითარებას. იმპორტული საქონელის ძირითადი ნაწილის (ზემოთ ცხრილში მოყვანილია პროდუქტთა ნუსხა) წარმოება შესაძლებელია ადგილობრივ პირობებში და რაც ყველაზე მთავარია - უკეთესი ხარისხით. ამგვარი პროდუქციის წარმოებით განვითარდება ადგილობრივი ეკონომიკა და შეიქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილი და გაუმჯობესდება სავაჭრო ბალანსი.

საქართველოში დღესდღეობით ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარება რაც ხელ შეუწყობს ბიზნესისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას.

აღნიშნული ფაქტორების რეალიზება, პრობლემების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ბიზნესის განვითარებასთან ერთად ამაღლდება აღნიშნულის სოციალური

პასუხისმგებლობა და კიდევ უფრო ეფექტურად განაგრძობს მუშაობას ქვეყნის სოციალური პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დასკვნა

საქართველოს ბიზნეს გარემოს შესწავლით და დაკვირვებით დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბიზნეს აგრემო დადებითი ტენდენციით ხასიათდება აღნიშნულის განვითარება ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.2008-2009 წლის რეიტინგების მიხედვით საქართველოს ბიზნეს გარემო 131 ქვეყნიდან 90-ე ადგილს იკავებდა“გლობალური კონკურენტუნარიანობის“ ანგარიშის საფუძველზე. ჩემი აზრით საქართველოს ბიზნეს გარემო ჯერ კიდევ განვითარების პროცესის დასაწყისშია და მთელი რიგი ფაქტორებია დასახვეწი.

- საქართველოს, როგორც, ერთ-ერთი განვითარებადი ქვეყნის მთავარი მიზანი ქვეყნის მაცხოვრებლების ცნობიერების დონის ამაღლებაა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კი, ძლიერი კერძო სექტორი განაპირობებს. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს საექტორის გაძლიერებას სახელმწიფო განაპირობებს.

- განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბაზარი მხოლოდ მაშინ შეძლებს დადებითად ფუნქციონირებას, თუ ამავდროულად ქყველანაში სოციალური დაცვის საიმედო მექანიზმი ამოქმედდება - ეს კი, თავისთავად ხელს შეუწყობს კერძო სექტორს სტაბილურ გარემოში

- სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაშ შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ბიზნეს ნიადაგი ქვეყანაში. სახელმწიფოს ქმედებები ბიზნესსექტორის მიმართ მათ მიერ აღიქმება ადეკვატურად, სახელმწიფოს ასევე შეუძლია შეზღუდოს მიდგომა ბაზართან და შემოიღოს უსაფრთხოების ისეთი სტანდარტები, რომლებსაც არასაბაზრო სტანდარტები ეწოდებათ.

- საქართველოს ბიზნეს კანონმდებლობა ახდენს უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ გავლენას ბიზნესზე და დღითიდღე ის უფრო მოქნილი და ყველა ბიზნესსუბიექტზე მორგებული ხდება.

- საინვესტიციო სფეროში ეფექტურობის მაჩვენებლის ამაღლების შესაძლებლობა დღესდღეობით ცოტაა თუმცა თავისმხრივ უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე ის ზრდას განაგრძობს.

- გარდა სტაბილური და მყარი ეროვნული ვალუტისა საქართველოს საინვესტიციო გარემო დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, პოლიტიკურ გარემოზე, სოციალურ ფონზე და ა.შ.

- დღევანდელობაში მსოფლიოს ქვეყნებში უცხოური კაპიტალი დაბანდების მრავალი სახეობა არსებობს, თუმცა საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი და შესაბამისად ყველაზე უფრო მმნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტირებაა.

- მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო რეფორმებმა გამოიწვია საქართველოს ბიზნეს გარემოს განვიტარების დადებითი ტენდენცია. თუმცა, ეს რათქმაუნდა არ არის საკმარისი და აუცილებელია საკანანმდებლო გარემოს კიდევ უფრო დახვეწა და ინფრომირებულობის დონის ზრდისაკენ სწარფვა.

- საქართველლოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლადყველაზე დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს აკისრია თუმცა სახელმწიფოს გარდა განვითარების პროცესში წვლილი აუცილებლად უნდა შეიტანოს კერძო სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ.

- საქართველოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა გაიზარდოს მეწარმეობრივი უნარები რაშიც მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს სახელმწიფომ, არასამთავრობო სექტორმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

- ცალსახად რომ ითქვას ბიზნესი სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა კეთილდღეობის კონკრეტული დონე ახალი სამუშაო ადგილები და წარმოების ზრდისკენ სწრაფვაა. ჩამოთვლილის გარეშე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია.

- ჩემი აზრით საქართველოს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა უჭირავს საქართველოსა და რუსეთს შორის კომფლიქტის მოგვარებას.

-

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. ლიპარტია ზ. ბიზნესის ანალიზი და განვითარების პროგნოზირება, თბილისი 2019 წ.
2. ციხელაშვილი ქ. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია, თბილისი, 2018 წ.
3. ბურდული თ. ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში, ტომი 3, თბილისი, 2015 წ.
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიზნეს-გარემო საქართველოში. სტატია: „ბიზნესის განვითარების გამოწვევები“.
5. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველო, 2019 წ.
6. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა სოციაცია, პროექტი:ბიზნეს-გარემოს გაუმოჯბესებასაქართველოში, 2009 წ.
7. გერაძე რ. , პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშნელობა საქართველოსთვის, ჟურნალი „Forbes Georgia”, თბილისი 2015 წ.
8. შათირიშვილი ჯ. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის აქტუალური საკითხები, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ თბილისი 1999 წ.
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველო, 3591, 2010 წ.
10. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობდა და გარანტიები, 473, 1996 წ.
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=14.
12. https://study.com/academy/lesson/what-is-business-environment-definition-factors-quiz.html
13. https://www.myaccountingcourse.com/accounting-dictionary/business-environmenthttps://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
14. http://eugeorgia.info/ka/article/524/pirdapiri-ucxouri-investiciebi---aris-tu-ara-saqartvelo-investorebistvis-mimzidveli-qveyana/
15. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
16. http://www.parliament.ge/ge/sajaro-informacia/arqivi/kvlevebibiblioteka/sabiblioteko-eleqtronuli-fondebi/ekonomika-biznesi-finansebi.page
17. http://www.economists.ge/ka/activities/publications/50-kvlevis-shedegebi-biznesgaremo-saqartveloshi

18. https://www.transparency.ge/ge/blog/pdjansaghi-biznesgaremo-sakartveloshi-miti-tu-realobap
19. http://pia.ge/post/266230-global-finance-saqartvelo-biznes-garemos-swrafi-gaumjobesebit-xasiatdeba
20. https://www.usa.gov/state-business/georgia
21. https://gsfic.georgia.gov/doing-business-georgia
22. https://www.nolo.com/legal-encyclopedia/how-qualify-foreign-business-georgia.html

დანართი

ცხრილი 1.3

საპროცენტო განაკვეთების ცხრილი

	სულ			ეროვნული ვალუტა			უცხოური ვალუტა		
	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
1996	61,2	60,8	68,4	57,1	57,1	57,5	64,9	64,2	74,3
1997	50,8	51,7	41,0	59,6	49,9	41,7	52,2	54,2	40,9
1998	35,2	37,3	23,0	35,8	35,9	26,9	34,9	38,3	22,6
1999	31,2	33,2	22,6	29,7	29,9	24,9	31,7	34,4	22,5
2000	27,3	29,4	21,0	24,5	25,5	18,6	28,0	30,4	21,3
2001	24,4	26,3	20,0	22,3	23,8	17,0	24,9	27,1	20,5
2002	23,0	24,9	19,5	23,6	24,9	16,0	22,9	24,9	19,7
2003	21,5	23,6	18,5	24,0	24,9	18,8	21,1	23,3	18,5
2004	20,2	23,4	17,4	25,4	26,9	20,0	19,5	22,5	17,3
2005	17,9	20,8	16,1	21,3	21,6	20,8	17,1	20,4	15,6
2006	17,3	19,4	16,3	20,3	20,4	20,1	16,3	18,5	15,6
2007	17,7	20,0	16,7	20,9	21,1	19,6	16,5	18,2	16,1
2008	18,6	21,3	17,6	21,8	22,3	21,4	17,1	20,2	16,3
2009	19,3	23,4	18,1	23,6	25,0	22,8	18,1	22,4	17,0
2010	18,6	22,4	17,3	22,6	24,9	21,0	17,2	20,5	16,4
2011	17,1	21,7	15,6	22,6	26,6	19,5	14,9	16,17	14,5
2012	16,9	21,6	15,4	22,1	26,2	19,4	14,4	16,2	14,1
2013	15,9	19,9	14,5	20,7	24,7	18,1	13,5	14,6	13,2

წყარო: საქსტატი

https://www.geostat.ge/ka/search?query=%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97

დიაგრამა 2.1



რუსეთი	აზერბაიჯანი	სომხეთი	უკრაინა	ბულგარეთი	დანარჩენი ქვეყ.
13,40%	13,10%	10,50%	6,60%	7,60%	48,80%

წყარო: საქ.სტატიhttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

დიაგრამა 2.2



თურქეთი	რუსეთი	ჩინეთი	აზერბაიჯანი	გერმანია	დანარჩენი ქვეყ.
17,80%	10,70%	9,70%	6,00%	4,80%	51,00%

წყარო საქ.სტატი https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

დიაგრამა 2.3



ევროკავშირის ქვეყნები	დსთ-ის ქვეყნები	დანარჩენი ქვეყნები
25,70%	26,80%	47,5%

წყარო:საქ.სტატიhttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

დიაგრამა 3.3

2001 – 2005 წლების ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით (მინიმუმი - მაქსიმუმი)



	მინიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
2001 წ.	2,045	2,0842	2,2799
2002 წ.	2,06	2,1941	2,24
2003 წ.	2,045	2,1455	2,2275
2004 წ.	1,7	1,9164	2,14
2005 წ.	1,78	1,8125	1,84

წყარო: https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

დიაგრამა 3.4

2006 – 2010 წლების ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით (მინიმუმი - მაქსიმუმი)



	მინიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
2006 წ.	1,7135	1,7765	1,83
2007 წ.	1,5915	1,6703	1,799
2008 წ.	1,396	1,4902	1,667
2009 წ.	1,64	1,6705	1,6995
2010 წ.	1,6929	1,7826	1,8875

წყარო: https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

დიაგრამა 3.5

2011 – 2015 წლების ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით (მინიმუმი - მაქსიმუმი)



	მინიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
2011 წ.	1,6388	1,686	1,8111
2012 წ.	1,651	1,651	1,6754
2013 წ.	1,6348	1,6634	1,7376
2014 წ.	1,7241	1,7659	1,9527
2015 წ.	1,878	2,2826	2,4499

წყარო: https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

დიაგრამა 4.2



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

*წინასწარი მონაცემები.